

ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გ რ ძ ა ნ ე ბ ა

19. 11. 2012 № 155
თბილისი

სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა
თანამდებობის დასაკავებლად დია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის,
„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს
კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის
კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წლის 15 ნოემბრის
ინსტიტუტის დებულების და ინსტიტუტის დირექტორის 2012 წლის 15 ნოემბრის
№01-15-227 წერილის საფუძველზე

კბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის წყალთა
მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა თანამდებობის
დასაკავებლად დია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 24 დეკემბერს.
3. კონკურსში მონაწილეობა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 20
ნოემბერს და დასრულდეს 2012 წლის 20 დეკემბერს. საბუთები მიღება
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტში. (მის: ი. ჭავჭავაძის გამზ. №60. IV სართული, ოთახი №423),
10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს მეცნიერ-თანამშრომლის
თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის
საკვალიფიკირებული მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი
დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის
შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის
ოფიციულ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტემენტის
უფროსი

პ. მაისურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალოა მეურნეობის ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომლის ონამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული
კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი
დოკუმენტების ჩამონათვალი

1. წყალსამეურნეო ობიექტების მოდელირების განყოფილება

- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული
- სპეციალობით ინჟინერ-პიდროტექნიკოსი, პიდროლოგიური
პროცესების პიდრავლიკური მოდელირების მიმართულებით
(დოქტორი, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან
გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული
- სპეციალობით ინჟინერ-პიდროტექნიკოსი, მელიორაციის დარგის
მიმართულებით (დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან
გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);

2. ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება

- მეცნიერ-თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული –
სპეციალობით ქიმიკოსი, გარემოს დაცვა (დოქტორის აკადემიური
ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე
პირი).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას
თან უნდა დაურთოს:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია (CV);
- გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;
- დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური
ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი
დიპლომის ასლი;
- ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);
- ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის
სამეცნიერო მიმართულებას;
- ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 5 წელში
(ჩამონათვალი);
- თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების
და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.
- ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო
ინფორმაცია).